პროექტი

საქართველოს კანონი

# "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. "პატიმრობის კანონში" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38(45), 1999 წელი, მუხ. 182) შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. 48-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი პაემნის უფლება ეძლევათ მსჯავრდებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს. ხანმოკლე პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს, ხოლო ხანგრძლივისა, რომელიც ეწყობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ სადგომში სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის დაუსწრებლად – 72 საათს. მსჯავრდებულთან პაემნის მსურველი პირი ვალდებულია ამის თაობაზე სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას შეატყობინოს პაემნამდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ხანგრძლივი შეხვედრა არ ეძლევათ მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საკარანტინო რეჟიმში.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საერთო რეჟიმის დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის დასწრება სავალდებულო არ არის.

2. 73-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

უფლება აქვს ჰქონდეს თვეში არა უმეტეს ორი ხანმოკლე და წელიწადში არა უმეტეს ოთხი ხანგრძლივი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს ჰქონდეს თვეში სამი ხანმოკლე და წელიწადში ექვსი ხანგრძლივი პაემანი, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

3. 74-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მსჯავრდებულს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისათვის, უფლება აქვს ჰქონდეს ყოველთვიურად არა უმეტეს ერთი ხანმოკლე და ყოველწლიურად არა უმეტეს სამი ხანგრძლივი პაემნისა, ხოლო იმ პირს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა დანაშაულის რეციდივის დროს, თუ იგი წინათ სასჯელს იხდიდა თავისუფლების აღკვეთის სახით, უფლება აქვს ჰქონდეს არა უმეტეს ერთი ხანმოკლე პაემნისა ორ თვეში ერთხელ და არა უმეტეს ორი ხანგრძლივი პაემნისა ყოველწლიურად, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

4. 77-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს ოთხი ხანმოკლე და ორი ხანგრძლივი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

5. 79-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს ოთხი ხანმოკლე და ორი ხანგრძლივი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

6. მე-80 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს ორი ხანმოკლე და ორი ხანგრძლივი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

7. 83-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^1$ ქვეპუნქტი:

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვან მსჯავრდებულს ჰყავს ოფიციალურად რეგისტრირებული მეუღლე, უფლება ეძლევა ჰქონდეს წელიწადში არა უმეტეს ოთხი ხანგრძლივი პაემანი მეუღლესთან, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი